„დამტკიცებულია“

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

დირექტორის 2023 წლის 16 თებერვლის #02-09/09ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურში სტაჟიორის პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა საკონკურსო პირობები

სტრუქტურული ერთეული: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური

პოზიციის სრული დასახელება:

1.1. ინჟინერ ტექნიკოსის პოზიციაზე;

1.2. კომპიუტერული განყოფილების სპეციალისტის პოზიციაზე;

1.3. ინჟინერის პოზიციაზე;

ვაკანსიის ოდენობა: 3(სამი)

სტატუსი: სტაჟიორი

სამუშაოს ტიპი: არასრული განაკვეთი

შრომის ანაზღაურება: ანაზღაურების გარეშე

სამუშაოს ადგილი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41, ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N16-18

სტაჟირების ვადა: 06 თვე

განაცხადების მიღების ვადა: განაცხადი მიიღება 2023 წლის 16 თებერვლიდან 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ელექტრონულად, ელ.ფოსტაზე: HR@ajaratv.ge

სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ბ) ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სამსახურის სტრუქტურულ ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს. გ) სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სხავადასხვა სამუშაოს შესრულებაში;

დ) სტაჟირების პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა სამსახურის სისტემაში ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად გამოცხადებულ კონკურსში.

სტაჟიორი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს სამსახურის და სტრუქტურული ერთეულების დებულებით, სამსახურის შინაგანაწესით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;

ბ) გაეცნოს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სპეციფიკას;

გ) დაიცვას მაუწყებლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები;

დ) არ გაავრცელოს საიდუმლო ან/და კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სტაჟირების გავლის პროცესში;

ე) დადგენილ ვადაში, კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს ყველა დავალება, რომელიც დაეკისრება ხელმძღვანელის მიერ;

სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სამსახურის თანამშრომლის ზედამხედველობით, სტაჟიორი შესაძლებელია უშუალოდ იქნეს ჩართული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული პროცედურების განხორციელებაში.

კონკურსში მონაწილეობის ძირითადი მოთხოვნები:

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქეაქვს უმაღლესი განათლება, ან იგი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებო პროგრამის მეორე, მესამე ან მეოთხე კურსის, ან მეორე საფეხურის საგანმათლებლო პროგრამის სტუდენტია ან/და აქვს პროფესიული უმაღლესი განათლება, სახელობო განათლება, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

დამატებითი მოთხოვნები:

- ✓ გუნდური მუშაობის უნარი;
- ✓ დროის ეფექტურად დაგეგმვის უნარი;
- ✓ კომუნიკაბელურობა;
- ✓ ორგანიზებულობა;
- ✓ პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი;
- ✓ ინფორმაციის სწრაფი მიღებისა და ანალიზის უნარი;
- ✓ პრობლემის აღმოჩენისა და გადაწყვეტის უნარი;
- ✓ დეტალებზე კონცენტრირების უნარი;
- ✓ დისციპლინირებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ✓ ინიციატივიანობა და მაღალი მოტივაცია;
- ✓ როგორც გუნდური, ისე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ✓ შრომისმოყვარეობა;
- ✓ დროის ეფექტიანად მართვის უნარი;
- ✓ უცხო ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

დანართი N2

სტაჟირების მსურველმა დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (HR@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

2. უმაღლესი განათლების, პროფესიული უმაღლესი განათლების, სახელობო განათლების ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 100 სიტყვა);

4. რეზიუმე (CV)

დაინტერესებულ პირს რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის (HR@ajaratv.ge) სათაურის ველში (sabject) უნდა მიუთითოს პოზიცი(ებ)ის დასახელება, სადაც სურს სტაჟირების გავლა. ერთდროულად შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ ორი პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

სტაჟირების დასრულების შემდეგ წარმატებული სტაჟიორებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი (თანხმობის შემთხვევაში ჩაირიცხებიან რეზერვში);

კონკურსის ეტაპები კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე კომისია გადაარჩევს კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს;

მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა: განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით.

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2023 წლის 15 მარტი.

შენიშვნა:

კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;